

განათლებისა და განვითარების პროგრამა

*ადამიანის განვითარების ინდექსის მიღმა:  
ადამიანზე ორიენტირებული განვითარების  
შეფასება საქართველოში*

ნანი ბენდელიანი  
მკვლევარი

## შინაარსი

შესავალი .....	3
ადამიანის განვითარების ინდექსი, მეთოდოლოგია და კრიტიკული შეფასება.....	4
ადამიანის განვითარების ინდექსის საქართველოს მაჩვენებლები .....	11
რას ნიშნავს გაუმჯობესება? საქართველოს მაჩვენებლები ინდექსის ჯამური ქულის და შემადგენელი კომპონენტების მიხედვით 2000-2011 წლის მომაცემების თანახმად .....	15
დასკვნა.....	18
ავტორის შესახებ .....	19
ბიბლიოგრაფია.....	20

## შესავალი

საქართველო, ისევე როგორც განვითარების გარდამავალ საფეხურზე მყოფი სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნები, მიეკუთვნება განვითარებადი ქვეყნების კატეგორიას და სხვადასხვა მიმართულებით ქვეყნის პროგრესის შეფასებას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მიმდინარე რეფორმების შედეგების აღრიცხვისთვის, ასევე სამომავლო განვითარების პერსპექტივების ანალიზისთვის. მსოფლიოში მიღებული პრაქტიკა განვითარების შესაფასებლად და გასაზომად ეფუძნება არა მხოლოდ ქვეყნების ეკონომიკის ზრდის მაჩვენებლებს, არამედ, განვითარებისთვის მნიშვნელოვანი სხვა ფაქტორების შეფასებასაც.

ადამიანის განვითარება არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული პარადიგმა ადამიანების შესაძლებლობისა და არჩევანის საშუალებების შესასწავლად და შესაფასებლად მსოფლიოში ჯანმრთელობის, განათლებისა და ცხოვრების ღირსეული დონის მიხედვით. ადამიანების განვითარების ანგარიშის მიხედვით, „განვითარების ძირითადი მიზანია ადამიანების ყველანაირი არჩევანის და არა მხოლოდ შემოსავლის გაზრდა“<sup>1</sup>. აღნიშნული მიმართულებებით პროგრესის შესაფასებლად ადამიანის განვითარების ანგარიშში სხვა ინდექსებთან და ემპირიულ მონაცემებთან ერთად ჩართულია ადამიანების განვითარების ინდექსი. წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს ადამიანის განვითარების, თეორიული ჩარჩოს ფარგლებში, საქართველოს მდგომარეობის აღწერას დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე (ხელმისაწვდომი მონაცემების მიხედვით).

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია ადამიანის განვითარების ინდექსი ყველა ხელმისაწვდომი წყაროს მიხედვით და მონაცემები 1995 წლის ანგარიშიდან დღემდე საქართველოში ადამიანზე ორიენტირებული განვითარების პროცესის შესაფასებლად. ასევე, ყურადღება ეთმობა ადამიანის ინდექსის მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ მახასიათებლებს, თუმცა, ასეთ შემთხვევაშიც, გასათვალისწინებელია, რომ მოცემული ინდექსის მიხედვით მხოლოდ ზოგად ორიენტირს წარმოადგენს საქართველოში ადამიანზე ორიენტირებული განვითარების დონის შესასწავლად და ამ თეორიის ფარგლებში შემდგომი კვლევის დასაგეგმად.

---

<sup>1</sup> United Nations Development Programme (1995). Human Development Report 1995. Oxford University Press <http://hdr.undp.org/en/reports/global/hdr1995/chapters/> (ნანახია 28.02.12/12:00)

## ადამიანების განვითარების ინდექსი, მეთოდოლოგია და კრიტიკული შეფასება

საერთაშორისო ინდექსები და რეიტინგები მხოლოდ ერთ-ერთი საშუალებაა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია შეფასდეს ამა თუ იმ ქვეყნის პროგრესი სხვადასხვა მიმართულებით - თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ინდექსები და რეიტინგები ზუსტად არ ასახავენ ქვეყანაში არსებულ ვითარებას იმ სფეროშიც კი, რომლის შეფასების ინსტრუმენტსაც წარმოადგენენ. ინდექსი არის ემპირიული მონაცემის ან მონაცემების მიხედვით ფორმირებული მაჩვენებელი, რომელიც მნიშვნელობას იძენს და დროში იცვლება მონაცემების ცვლილების შესაბამისად. ინდექსის წარმოადგენს აბსტრაქტულ, ხელოვნურად შექმნილ მოდელს, რომელიც, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ მიახლოებით შეიძლება ასახავდეს არსებულ რეალობას. ინდექსის ვალიდურობა და მისი ინტერპრეტაცია დამოკიდებულია გამოთვლისას გამოყენებულ მეთოდოლოგიაზე - ინდექსებზე დაფუძნებული დასკვნების არასწორი განზოგადების თავიდან ასაცილებლად ყურადღება უნდა მიექცეს, თუ რა კონკრეტულ საკითხს/სფეროს აფასებს ინდექსი და რა მონაცემებია გამოყენებული მისი გამოთვლისას. გარდა აღნიშნულისა, დამატებითი პრობლემები ახლავს ინდექსების მიხედვით გამოქვეყნებული ქვეყნების რეიტინგების ინტერპრეტაციას - რეიტინგი დამოკიდებულია მისი გამოთვლისას გამოყენებული ქვეყნების რაოდენობაზე, რომელიც, შესაძლებელია წლიდან წლამდე შეიცვალოს, ამიტომ, რეიტინგების უმეტესობა არ არის შედარებადი სხვა წლების მონაცემებთან. თუმცა, რეიტინგების საშუალებით შესაძლებელია მოცემული პერიოდისთვის სხვადასხვა ქვეყნის, ქვეყნის ჯგუფებისა და რეგიონის შედარება. ასევე, ინდექსების და რეიტინგების სიზუსტეს მათი გამოთვლისას გამოყენებული მონაცემთა ბაზების ხარისხიც ამცირებს. მონაცემთა ბაზების აკურატულობა და ქვეყნებს შორის შედარების შესაძლებლობა მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს განვითარებადი ქვეყნებისთვის არასრულყოფილი მეთოდოლოგიისა და მონაცემთა ბაზების გამო.

ადამიანების განვითარების ინდექსი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ინდიკატორია, რომელიც 1990 წლიდან ქვეყნდება ადამიანის განვითარების ანგარიშის ფარგლებში. იგი წარმოადგენს ქვეყნის მიერ მიღწეული პროგრესის, ეკონომიკის ზრდაზე დამყარებული, შეფასების ალტერნატივას. ადამიანების განვითარების ინდექსი არ წარმოადგენს კეთილდღეობის ან ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის საზომს. იგი ზომავს ადამიანებისთვის ხელმისაწვდომ უფლებებსა და არჩევანს, რომლებიც აუცილებელია მათი შესაძლებლობების განვითარებისთვის. **გამოყოფილია სამი ძირითადი არჩევანი/საშუალება, რომელიც უნდა გააჩნდეს ადამიანს შესაძლებლობების განვითარებისთვის: განათლება, ჯანმრთელობა და ღირსეული ცხოვრებისთვის საკმარისი**

**შემოსავალი.**<sup>2</sup> ეს სამი კომპონენტი უშუალოდ ადამიანის განვითარების ინდექსის შემადგენელი ნაწილია. გაეროს ადამიანის განვითარების ანგარიშში, გარდა ადამიანის განვითარების ინდექსისა, ჩართულია გენდერული თანასწორობისა და სიღარიბის სხვადასხვა ინდექსები, როგორც შემოთავაზებული განვითარების მოდელის ნაწილი.

ადამიანის განვითარების ინდექსის შემადგენელი კომპონენტები, -განათლება, ჯანმრთელობა და ღირსეული ცხოვრებისთვის საკმარისი შემოსავალი, შემდეგი ინდიკატორებით განისაზღვრება: **2011 წლის მეთოდოლოგიის მიხედვით, განათლება იზომება სწავლების საშუალო ხანგრძლივობით (სწავლების პირველ, მეორე და მესამე საფეხურზე) და სწავლების მოსალოდნელი ხანგრძლივობით; ჯანმრთელობა იზომება სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობით და ღირსეული ცხოვრების საშუალება ქვეყნის მთლიანი შემოსავლით ერთ სულ მოსახლეზე მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით.** ინდექსის მნიშვნელობა გამოითვლება, როგორც სამივე მაჩვენებლის გეომეტრიული საშუალო, შესაბამისად, ადამიანის განვითარების ინდექსში განათლება, ჯანმრთელობა და შემოსავალი თანაბარი წილითაა წარმოდგენილი.

1990 წლიდან 2011 წლამდე ადამიანების განვითარების ინდექსის მეთოდოლოგია რამდენჯერმე მნიშვნელოვნად შეიცვალა. ცვლილებები არ შეხებია ინდექსის სამ მთავარ შემადგენელ კომპონენტს, თუმცა, პერიოდულად იცვლებოდა დათვლის წესი და ამავე კომპონენტების შემადგენელი ცვლადები. შესაბამისად, [დიაგრამა 2] წარმოდგენილი ადამიანის განვითარების საქართველოს მაჩვენებლების მხოლოდ ნაწილია ერთმანეთთან შედარებადი. შედარების წესი მოცემულია დიაგრამაზე დართულ შენიშვნებში. 2011 წლის ადამიანის განვითარების ანგარიშის მიხედვით, ქვეყნების კლასიფიკაცია ხდება რეიტინგის მონაცემების კვარტლების მიხედვით ადამიანის განვითარების ძალიან მაღალ, მაღალ, საშუალო და დაბალი დონის მქონე ქვეყნებად. თითოეულ კვარტალში შედის 47 ან 46 ქვეყანა<sup>3</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის განვითარების ინდექსი, განვითარების პროგრესის შეფასებისას, მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს, როგორც ქვეყნის პროგრესის ეკონომიკის ზრდის მაჩვენებლების ალტერნატივა, მას გააჩნია ხარვეზები, როგორც შემადგენელი კომპონენტების ცვლადების განსაზღვრის და გამოთვლის, ასევე მონაცემთა ბაზის ხარისხის თვალსაზრისით. ინდექსი კომპლექსურად განსაზღვრავს ადამიანის განვითარებას, თუმცა იყენებს ძალზე მცირე რაოდენობის მონაცემს თითოეული კომპონენტის მნიშვნელობის გამოთვლისას. გარდა ამისა, ადამიანის განვითარების ინდექსის

<sup>2</sup> United Nations Development Programme (1995). Human Development Report 1995. Oxford University Press <http://hdr.undp.org/en/reports/global/hdr1995/chapters/> (ნანახია 28.02.12/12:00)


<sup>3</sup> United Nations Development Programme (2011). Human Development Report 2011. Palgrave Macmillan p.130 <http://hdr.undp.org/en/reports/global/hdr2011/download/> (ნანახია 28.02.12/12:00)

კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ინდექსის სამივე კომპონენტი - განათლება, ჯანმრთელობა და შემოსავალი თანაბარი წილით არის წარმოდგენილი, მაგრამ ინდექსის ავტორების მიერ ადეკვატურად არ არის დასაბუთებული თუ რატომ ხდება კომპონენტების თანაბარი წილით წარმოდგენა, რატომ არის მითითებული კომპონენტი ისეთივე მნიშვნელოვანი როგორც სხვები. ასევე, გამოთვლის ამ წესის მიხედვით, რომელიმე კომპონენტის მნიშვნელობის შემცირების ეფექტი, ინდექსის საბოლოო მნიშვნელობისთვის, შესაძლოა გადაფაროს სხვა კომპონენტის მნიშვნელობის ზრდამ. მაგალითად, ცხოვრების ხანგრძლივობის შემცირება შესაძლებელია გადაიფაროს შემოსავლების ზრდით. საბოლოოდ, ადამიანის განვითარების ინდექსის კიდევ ერთი ნაკლოვანებაა უთანასწორობის უგულვებლყოფა – გამოთვლისას გამოყენებული მონაცემები ასახავენ ქვეყნის საშუალოს, მაშინ, როცა ღარიბი მოსახლეობისთვის იგივე მაჩვენებლები გაცილებით დაბალია<sup>4</sup>. მეთოდოლოგიის გასაუმჯობესებლად ადამიანის განვითარების ინდექსში მუდმივად შედიოდა ცვლილებები, რამაც გამოიწვია წლების მიხედვით მონაცემების შედარებითობის შეზღუდვა. 2011 წელს შემუშავდა ახალი მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც მოხდა გასული წლის მონაცემების ხელახალი დაანგარიშება, თუმცა აქ ჩამოთვლილი ხარვეზები ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით არ არის კორექტირებული, გარდა უთანასწორობის გათვალისწინებისა - 2010 წლიდან დაიწყო უთანასწორობის მიხედვით კორექტირებული ადამიანის განვითარების ინდექსის გამოთვლა და იგივე მაჩვენებელი 2011 წლის ანგარიშშიც არის მოცემული.

---

<sup>4</sup> Grimm, et al (2006). A Human Development Index by Income Groups. Ibero-American Institute for Economic Research Discussion Paper No. 155, Ibero-American Institute for Economic Research, University of Goettingen

დიაგრამა 1. ადამიანის განვითარების ინდექსის ტენდენციები მსოფლიოში, ევროპასა და ცენტრალურ აზიაში, მაღალი ადამიანის განვითარების დონის მქონე ქვეყნებში და საქართველოში<sup>5</sup>




- ევროპა და ცენტრალური აზია
- ადამიანის განვითარების მაღალი დონის მქონე ქვეყნები
- მსოფლიო
- საქართველო

<sup>5</sup> დიაგრამა განთავსებულია გაეროს ადამიანის განვითარების ინდექსის ვებგვერდის საქართველოს გვერდზე.

<http://hdrstats.undp.org/en/countries/profiles/GEO.html> (ნანახია 07.03.12; 14:15)

დიაგრამა 2. ადამიანის განვითარების ინდექსი (HDI), საქართველოს მონაცემები გლობალური ანგარიშების, საქართველოს შესახებ 2008 წლის ანგარიშის და 2011 წლის ანგარიშის მეთოდოლოგიის მიხედვით






**შენიშვნები და განმარტებები დიაგრამა 2-ზე მოცემული მონაცემების სწორი ინტერპრეტაციისთვის:**

- მაჩვენებელთა შეფასების სკალა: 2010 წლამდე - 0.9:1 ადამიანის განვითარების ძალიან მაღალი დონე; 0.8:0.899 - მაღალი დონე, 0.5:0.799 - საშუალო დონე, 0-0.499 - დაბალი დონე; 2009 წლიდან განვითარების დონეები განისაზღვრება კვარტლების მიხედვით: I კვარტალი - ადამიანის განვითარების ძალიან მაღალი დონე; II კვარტალი - მაღალი დონე; III კვარტალი - საშუალო დონე; IV კვარტალი - განვითარების დაბალი დონე;
- **HDI გლობალური ანგარიშების მიხედვით** - სხვადასხვა წლის მაჩვენებლები არ არის ერთმანეთთან შედარებადი ინდექსის გამოთვლის მეთოდოლოგიის ცვლილებების გამო; ამ მაჩვენებლის წყაროს წარმოადგენს გაეროს ყოველწლიური ადამიანის განვითარების ანგარიშები; დიაგრამაზე მოცემულია ანგარიშების გამოქვეყნების წლები, თუმცა, ინდექსის გამოსათვლელად გამოყენებული გასული წლების მონაცემები სხვადასხვა ინტერვალით - 1995-1998 წლებში გამოსათვლელად გამოიყენეს მაჩვენებლები 3 წლის ინტერვალით, 1999-2009 წლებში გამოსათვლელად გამოიყენეს მაჩვენებლები 2 წლის ინტერვალით; 2008 წლის მონაცემები იმეორებენ 2007 წლის მონაცემებს, რადგან 2007-2008 წელს საერთო გლობალური ანგარიში გამოიცა; 2010 და 2011 წელს იმავე წლის მონაცემები იქნა გამოყენებული ინდექსის გამოსათვლელად;
- **უთანასწორობის მიხედვით კორექტირებული HDI** - სხვადასხვა წლის მაჩვენებლები არ არის ერთმანეთთან შედარებადი ინდექსის გამოთვლის მეთოდოლოგიის ცვლილებების გამო; აღნიშნული მაჩვენებლის წყაროს წარმოადგენს გაეროს ყოველწლიური ადამიანის განვითარების ანგარიშები;
- **HDI 2011 წლის მეთოდოლოგიის მიხედვით** - სხვადასხვა წლის მაჩვენებლები შედარებადია; აღნიშნული მაჩვენებლის წყაროს წარმოადგენს 2011 წლის ადამიანის განვითარების გლობალური ანგარიში- გაეროს ადამიანის განვითარების მაჩვენებლების მონაცემთა ბაზა;
- **HDI 2008 წლის საქართველოს ანგარიშის მიხედვით** - სხვადასხვა წლის მაჩვენებლები შედარებადია; აღნიშნული მაჩვენებლის წყაროს წარმოადგენს 2008 წლის გაეროს ანგარიში საქართველოში ადამიანის განვითარების შესახებ;

დიაგრამა 3. საქართველოს რეიტინგი ადამიანის განვითარების ინდექსის მაჩვენებლის მიხედვით



შენიშვნები და განმარტებები დიაგრამა 2-ზე მოცემული მონაცემების სწორი ინტერპრეტაციისთვის:

- მოცემული რეიტინგების წყაროა გაეროს გლობალური ანგარიშები, ანუ, რეიტინგები გამოთვლილია დიაგრამა 2-ზე მოცემული მაჩვენებლის „HDI გლობალური ანგარიშების მიხედვით“. რეიტინგების ერთმანეთთან შედარებას ართულებს ანგარიშში ჩართული ქვეყნების ცვლილება წლების მიხედვით;
- დიაგრამაზე მოცემულია ანგარიშების გამოქვეყნების წლები, თუმცა, ინდექსის გამოსათვლელად გამოყენებული გასული წლების მონაცემები სხვადასხვა ინტერვალით - 1995-1998 წლებში გამოსათვლელად გამოიყენეს მაჩვენებლები 3 წლის ინტერვალით; 1999-2009 წლებში გამოსათვლელად გამოიყენეს მაჩვენებლები 2 წლის ინტერვალით; 2008 წლის მონაცემები იმეორებენ 2007 წლის მონაცემებს, რადგან 2007-2008 წელს საერთო გლობალური ანგარიში იქნა გამოცემული; 2010 და 2011 წლებში საანგარიშო წლის მონაცემები იქნა გამოყენებული ინდექსის გამოსათვლელად;

## ადამიანის განვითარების ინდექსის საქართველოს მაჩვენებლები

საქართველო ადამიანის განვითარების ინდექსის 2011 წლის მონაცემების მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც ადამიანის განვითარების მაღალი დონის მქონე ქვეყანა, საერთო ქულით 0.733 და საერთო რეიტინგით 75 მსოფლიოს 187 ქვეყანას შორის (დიაგრამები 2 და 3). მაღალი ადამიანის განვითარების დონის მქონე ქვეყნების ქულა 2011 წლის ანგარიშის მიხედვით მერყეობს 0.698-დან 0.783-მდე. დიაგრამა 1-ზე წარმოდგენილია ადამიანის განვითარების ინდექსის მაჩვენებლები მსოფლიოში, რომლის მიხედვითაც საქართველოს მაჩვენებელი აღემატება მსოფლიოს საშუალოს და მცირედით ჩამორჩება ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში შემავალი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს. საქართველო ადამიანის განვითარების ანგარიშის მიხედვით 2010 წელს იქნა განსაზღვრული, როგორც ადამიანის განვითარების მაღალი დონის მქონე ქვეყანა. 2010 წლამდე საქართველო კვალიფიცირდებოდა, როგორც ადამიანის განვითარების საშუალო დონის მქონე ქვეყანა. ერთი შეხედვით, შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ამ პერიოდში საქართველომ გაიარა განვითარების მთელი ეტაპი და მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ადამიანების სიცოცხლის ხანგრძლივობის, განათლებისა და ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფის მიმართულებით, თუმცა, ადამიანის განვითარების ინდექსის მონაცემების დინამიკაზე დაკვირვება და ინდექსის მეთოდოლოგიური ცვლილებების გათვალისწინება ადასტურებს პროგრესს, თუმცა არა ასეთ მასშტაბურს.

ინდექსის მონაცემების ცვლილება საანგარიშო წლების მიხედვით საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საქართველოს ადამიანის განვითარების ინდექსს დადებითი ტენდენცია ახასიათებს 2000-2011 წლებში, თუმცა 2009 ან 2010 წელს ინდექსის ქულის განსაკუთრებული გაუმჯობესება არ მომხდარა. დიაგრამა 2 აჩვენებს საქართველოს ადამიანის განვითარების ინდექსის ქულის ცვლილებას 1995 წლიდან 2011 წლამდე. დიაგრამაზე წარმოდგენილია ადამიანის განვითარების ინდექსის მაჩვენებლები რამდენიმე წყაროს მიხედვით, რადგან გამოთვლის მეთოდოლოგიის მუდმივი ცვლილებების გამო ინდექსის მაჩვენებელი განსხვავდება სხვადასხვა წყაროს მიხედვით. მაჩვენებლები წარმოდგენილია გაეროს ყოველწლიური ანგარიშების, საქართველოს შესახებ გაეროს 2008 წლის ანგარიშის და 2011 წლის ანგარიშის მეთოდოლოგიის მიხედვით გამოთვლილი გაეროს ადამიანის განვითარების მონაცემთა ბაზისა და 2011 წლის ანგარიშის მიხედვით. შედეგად, სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, საქართველოს ადამიანის განვითარების ინდექსის ქულა, მაგალითად, 2005 წელს შესაძლებელია განისაზღვროს როგორც 0.707, 0.732 ან 0.771 (დიაგრამა 2). რაც მეტყველებს ადამიანის ინდექსის მეთოდოლოგიის და მონაცემთა ორგანიზების ხარვეზებზე, ასევე გვიჩვენებს, ზოგადად, ინდექსების პირობითობას.

2011 წლის მეთოდოლოგიის მიხედვით გამოთვლილი ადამიანის განვითარების ინდექსი არის ერთადერთი მაჩვენებელი, რომლის თანახმად ინდექსის მაჩვენებლების შედარება შეიძლება 2005 – 2011 წლებში. ამ პერიოდში ისევე, როგორც 2000-2007 წლებში (საქართველოს

ადამიანის განვითარების 2008 წლის ანგარიშის მიხედვით) საქართველოს ადამიანის განვითარების ინდექსის ქულა გაუმჯობესდა, თუმცა რადიკალურად არ შეცვლილა.

ამავე დროს, შესამჩნევად იზრდება საქართველოს რეიტინგი; 2009 წელს საქართველო 89-ე ადგილზეა ადამიანის განვითარების გლობალური ანგარიშების მიხედვით, ხოლო 2010 და 2011 წლებში შესაბამისად 74-ე და 75-ე ადგილზე (დიაგრამა 3). გაეროს ადამიანის ანგარიშებში მუდმივად ხდებოდა ქვეყნების რაოდენობის ცვლილება, ამიტომ სხვადასხვა წლის რეიტინგები არ არის შედარებადი. უფრო მეტიც, რეიტინგი არის რელატიური მაჩვენებელი, სხვადასხვა ქვეყნების შედარებით შეფასება, ინდექსი კი აბსოლუტური - აფასებს ერთი ქვეყნის მდგომარეობას, შესაბამისად, ქვეყნის რეიტინგის გაუმჯობესება არ ნიშნავს არსებული სიტუაციის მკვეთრ გაუმჯობესებას, არამედ ნიშნავს გაუმჯობესებას სხვა ქვეყნებთან მიმართებაში, ამიტომ რეიტინგების მიხედვით განვითარების დინამიკის განსაზღვრა კიდევ უფრო რთულია. მიუხედავად ამისა, 2010 წლის ადამიანის განვითარების ანგარიშში მოხდა სკალირების მეთოდოლოგიის საინტერესო ცვლილება, რომელიც დიაგრამა 2-ის შენიშვნებშია მოცემული - ქვეყნის განვითარების დონე განისაზღვრა არა ქულის, არამედ რეიტინგის საშუალებით: I კვარტილი - ადამიანის განვითარების ძალიან მაღალი დონე; II კვარტილი - ადამიანის განვითარების მაღალი დონე; III კვარტილი - ადამიანის განვითარების საშუალო დონე; IV კვარტილი - ადამიანის განვითარების დაბალი დონე; აღნიშნულმა მეთოდოლოგიის ცვლილებამ საშუალება მისცა საქართველოს გაუმჯობესებინა ადამიანის განვითარების ინდექსის კლასიფიკაცია და საშუალო განვითარებიდან გადასულიყო ადამიანის განვითარების მაღალი დონის მქონე ქვეყნების კატეგორიაში.

ადამიანის განვითარების ინდექსის ჯამური ქულების და რეიტინგების საშუალებით შემდეგი დასკვნების გაკეთებაა შესაძლებელი:

- ინდექსის მეთოდოლოგიური ხარვეზები პირდაპირ აისახება საქართველოს მაჩვენებლებზე, საქართველოს ქულა ერთი და იმავე წლისთვის განსხვავდება სხვადასხვა წყაროს მიხედვით (გლობალური ანგარიშები<sup>6</sup>, საქართველოს შესახებ ანგარიში<sup>7</sup>, მონაცემთა ბაზა<sup>8</sup>), რაც შეუძლებელს ხდის მონაცემების შედარებას წლების მიხედვით და აჩვენებს როგორც ინდექსების, ასევე რეიტინგების პირობითობას - ქვეყნის რეიტინგები გამოთვლილია გლობალური ანგარიშის ქულის მიხედვით, რომელიც წლების მიხედვით შედარებადი წყარო არ არის;

<sup>6</sup> Human Development Reports, Official Website. <http://hdr.undp.org/en/> (ნანახია 07.03.12; 15:00)


<sup>7</sup> Welton, et al (2008). Georgia Human Development Report 2008. UNDP <http://planipolis.iiep.unesco.org/upload/Georgia/Georgia-NHDR-2008.pdf> (ნანახია April 2, 2012. 17:00)

<sup>8</sup> World Bank. World Development Indicators Data Base


<http://data.worldbank.org/data-catalog/world-development-indicators> (Accessed April 2, 2012. 17:30)

- ადამიანის განვითარების ინდექსის მიხედვით, საქართველოს, ერთი შეხედვით, მნიშვნელოვანი პროგრესი აქვს - 2010 წელს ქვეყნის განვითარების დონის კვალიფიკაცია შეიცვალა და საქართველო ადამიანის განვითარების საშუალო დონის მქონე ქვეყნის ნაცვლად კვალიფიცირებული იქნა როგორც განვითარების მაღალი დონის მქონე ქვეყანა. თუმცა, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელმაც საქართველოს განვითარების მაღალი დონის ქვეყნად კვალიფიცირება განაპირობა, არის ინდექსის სკვაირების მეთოდოლოგიის ცვლილება - სკალირების გადატანა ინდექსებიდან (აბსოლუტური მაჩვენებელი) რეიტინგებზე (რელატიური მაჩვენებელი). სხვადასხვა წყაროს მიხედვით ინდექსის ქულის მხოლოდ მცირედი გაუმჯობესება შეინიშნება - 1999 - 2011 წლის მონაცემების თანახმად.

დიაგრამა 4. ადამიანის განვითარების ინდექსის საქართველოს მონაცემები 2011 წლის ანგარიშის მეთოდოლოგიის მიხედვით



დიაგრამა 5. ადამიანის განვითარების ინდექსის მონაცემები 2008 წლის საქართველოს შესახებ ანგარიშის მიხედვით



## რას ნიშნავს გაუმჯობესება? საქართველოს მაჩვენებლები ინდექსის ჯამური ქულის და შემადგენელი კომპონენტების მიხედვით 2000-2011 წლის მონაცემების თანახმად

ადამიანის განვითარების ინდექსის ჯამურმა მონაცემებმა აჩვენა, რომ პროგრესი საქართველოში 1999-2011 წლებში შეინიშნებოდა. დაახლოებით ამ პერიოდისთვის არსებობს ორი წყარო, რომლის მონაცემების შედარება წლების მიხედვითაა შესაძლებელი: გაეროს ანგარიში საქართველოს შესახებ,<sup>9</sup> რომელიც 2000-2006 წლის მონაცემებს ასახავს და მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა<sup>10</sup>, რომელიც 2011 წლის ანგარიშის მეთოდოლოგიის მიხედვით გამოთვლილ 2005-2011 წლის მონაცემებს ასახავს. ეს მონაცემები არ არის ერთმანეთთან შედარებადი, თუმცა, შესაძლებელია აღნიშნული ორი პერიოდის შედარება. ასევე, ადამიანის განვითარების ინდექსის შემადგენელი კომპონენტები - ჯანმრთელობის, განათლების და შემოსავლის ინდექსების მონაცემების საშუალებით შეგვიძლია დავასკვნათ, თუ რომელი კომპონენტის ხარჯზე მოხდა ინდექსის ჯამური ქულის გაუმჯობესება. დიაგრამა 4 და 5 აჩვენებს ადამიანის განვითარების ინდექსს კომპონენტების მიხედვით, გამოთვლილს 2011 წლის გლობალური ანგარიშის და 2008 წლის საქართველოს შესახებ ანგარიშის მეთოდოლოგიის მიხედვით.

2000-2006 წლებში ადამიანის განვითარების ინდექსი 0.022 ქულით გაიზარდა - 0.773 ქულიდან 0.771 ქულამდე. ზრდა განხორციელდა შემოსავლის ინდექსის გაუმჯობესების გამო, რომელიც 2000 წელს 0.51-დან 0.614 ქულამდე, 0.104 ქულით გაიზარდა 2005 წელს. ამავე პერიოდში განათლების ინდექსი მცირედით შემცირდა 0.963-დან 0.951-მდე, ხოლო ჯანმრთელობის ინდექსი თითქმის არ შეცვლილა. 2005-2011 წლებში ინდექსის ჯამური ქულა 0.026 ქულით გაიზარდა. დროის ამ მონაკვეთში შემოსავლის ინდექსი გაიზარდა 0.039 ქულით (დიაგრამა 4) და აჩვენა გაცილებით უფრო მცირე ზრდა, ვიდრე 2000-2005 წლებში<sup>11</sup> თუმცა, ზოგადი ინდექსის ზრდა განაპირობა ასევე განათლებისა და ჯანმრთელობის ინდექსების გაუმჯობესებამ - განათლების ინდექსი გაუმჯობესდა 0.824-დან 0.839 ქულამდე, ხოლო ჯანმრთელობის ინდექსი 0.833-დან 0.848 ქულამდე. ზოგადად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადამიანების განვითარების ინდექსის ჯამურ ქულას გაუმჯობესების თანაბარი ტენდენცია ახასიათებდა 2000-2005 და 2005-2011 წლებში. რაც შეეხება ინდექსის შემადგენელ კომპონენტებს, 2000-2005 წლებში ადამიანის განვითარების ინდექსის ზრდა მოხდა შემოსავლის ინდექსის მნიშვნელოვანი ზრდის ხარჯზე, ამავდროულად, განათლების

<sup>9</sup> Welton, *et al* (2008). Georgia Human Development Report 2008. UNDP

<http://planipolis.iiep.unesco.org/upload/Georgia/Georgia-NHDR-2008.pdf> (ნანახია April 2, 2012. 17:00)

<sup>10</sup> World Bank. World Development Indicators Data Base

<http://data.worldbank.org/data-catalog/world-development-indicators> (ნანახია April 2, 2012. 17:30)

<sup>11</sup> ქულების ზუსტი შედარება შეუძლებელია სხვადასხვა ანგარიშის ინდექსის გამოთვლის მეთოდოლოგიის ცვლილების გამო, თუმცა ქულებს შორის სხვაობის შედარება იძლევა ინფორმაციას პროგრესის ტენდენციის შესახებ.



ინდექსი გაუარესდა, ჯანმრთელობის ინდექსი კი თითქმის არ შეცვლილა. 2005-2011 წლებში კი სამივე კომპონენტი მცირედით გაუმჯობესდა.

როგორც 2000-2005 წლებში, ასევე 2005-2011 წლებში შემოსავლის ინდექსი მნიშვნელოვნად ჩამორჩება განათლების და ჯანმრთელობის ინდექსებს. 2005-2011 წლების ჯანმრთელობის და განათლების ინდექსების ქულების მიხედვით (დიაგრამა 4) საქართველო ძალიან მაღალი განვითარების მქონე ქვეყნების მაჩვენებლებს უახლოვდება და შემოსავლის ინდექსი მნიშვნელოვნად ამცირებს ადამიანის განვითარების ინდექსის საბოლოო ქულას.

ჯანმრთელობის და განათლების ინდექსების შემოსავლის ინდექსზე უფრო უკეთესი მაჩვენებლები არ უნდა იქნას გაგებული, როგორც საქართველოში ამ მიმართულებებით განხორციელებული რეფორმების შედეგი - ერთის მხრივ, ადამიანის განვითარების ინდექსი შემადგენელი კომპონენტების შესაფასებლად იყენებს მცირე რაოდენობის ცვლადებს. 2011 წლის მეთოდოლოგიის მიხედვით განათლება ფასდება ხელმისაწვდომობის მიხედვით (სწავლების საშუალო ხანგრძლივობით პირველ, მეორე და მესამე საფეხურებზე და სწავლების მოსალოდნელი ხანგრძლივობით), ხოლო ჯანმრთელობა - ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობით. შესაბამისად, ეს ინდიკატორები წარმოადგენენ განათლების და ჯანმრთელობის მხოლოდ საბაზისო საზომებს, ისინი არ ასახავენ ზოგადად, განათლების ან ჯანმრთელობის სისტემების ხარისხს საქართველოში. საქართველოში განათლებაზე ხელმისაწვდომობა ნაკლებად პრობლემატურია განათლების ხარისხთან შედარებით, ხოლო ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობა არის მაჩვენებელი, რომელზეც ჯანდაცვის სისტემის ცვლილებები დროის მოკლე მონაკვეთში არ აისახება - ეს მაჩვენებელი 1990 წლიდან დღემდე საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში მცირედით გაუმჯობესდა. მსოფლიოს განვითარების ინდიკატორების მონაცემთა ბაზის მიხედვით (მონაცემები საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მიერაა მიწოდებული) საქართველოში ცხოვრების მოსალოდნელი ხანგრძლივობა შეადგენდა 70.24 წელს 1990 წელს და 73.32 წელს მიაღწია 2011 წლის მონაცემების მიხედვით<sup>12</sup>. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობა თავისთავად არ გულისხმობს ჯანმრთელი ცხოვრების ხანგრძლივობას. მეორეს მხრივ, მოსახლეობის უმრავლესობის ხელმისაწვდომობა საბაზისო განათლებაზე და ცხოვრების შედარებით უფრო მაღალი საშუალო ხანგრძლივობა, ვიდრე მსგავსი საშუალო ეროვნული შემოსავლის მქონე ქვეყნებში, პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი და განასხვავებს მათ სხვა განვითარებადი ქვეყნებისგან.

წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ:

---

<sup>12</sup> World Bank. World Development Indicators Data Base

<http://data.worldbank.org/data-catalog/world-development-indicators> (ნანახია April 2, 2012. 17:30)



- ადამიანის განვითარების ინდექსი დაახლოებით ერთნაირად უმჯობესდებოდა 2000-2006 წლებში და 2005-2011 წლებში;
- შემადგენელი კომპონენტების მიხედვით, 2000-2006 წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შემოსავლის ინდექსის ქულა, რომელიც თანაბრად იზრდებოდა 2000 წლიდან 2006 წლამდე, ხოლო ჯანმრთელობის და განათლების ინდექსის ქულა არ შეცვლილა. 2005-2011 წლებში ინდექსის ჯამური ქულა შეიცვალა სამივე კომპონენტის მცირეოდენი გაუმჯობესების ხარჯზე - განათლების და ჯანმრთელობის კომპონენტი უმნიშვნელოდ გაიზარდა, თუმცა შემოსავლის კომპონენტის გაუმჯობესება ჩამორჩებოდა 2000-2006 წლის პერიოდს.
- ორივე პერიოდის მიხედვით, შემოსავლის ინდექსი მნიშვნელოვნად ჩამორჩება განათლების და ჯანმრთელობის კომპონენტებს და ამცირებს ინდექსის საშუალო ქულას. ეს ფაქტი არ მიუთითებს განათლების და ჯანმრთელობის სისტემების მაღალ ხარისხზე საქართველოში - ამ კომპონენტების შემადგენელი ცვლადები არ ზომავენ სისტემის ხარისხს. განათლება იზომება მხოლოდ ხელმისაწვდომობით და წერა-კითხვის დონით, ხოლო ჯანმრთელობა - ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობით.

## დასკვნა

ადამიანის განვითარების ინდექსი არის გაეროს ადამიანზე ორიენტირებული განვითარების თეორიის საფუძველზე შემუშავებული მაჩვენებელი, რომელიც სამი კომპონენტის - ღირსეული ცხოვრების საშუალებას, განათლების და ჯანმრთელობას მოიცავს. აღნიშნული თეორია საინტერესო და სასარგებლო საშუალებას წარმოადგენს ქვეყნების განვითარების შესაფასებლად, რადგან მრავალმხრივად აფასებს პროცესს - ეკონომიკის ზრდის გარდა, ითვალისწინებს ადამიანის არჩევანისა და საშუალებების განვითარებას. თუმცა, ადამიანის განვითარების ინდექსში კომპონენტები ფასდება მხოლოდ რამდენიმე ცვლადის მეშვეობით - 2011 წლის ანგარიშის მიხედვით, ღირსეული ცხოვრების საშუალება ფასდება მხოლოდ საშუალო შემოსავლით ერთ სულ მოსახლეზე, ჯანმრთელობა ფასდება ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობით, განათლება - ჩარიცხვის სწავლების სამივე საფეხურზე და წერა-კითხვის ცოდნით. აღნიშნული ინდიკატორები არ არის საკმარისი თითოეული კომპონენტის ადეკვატურად შესაფასებლად. უფრო მეტიც, ინდექსის მეთოდოლოგიის კრიტიკა სხვა მიმართულებებითაც არის შესაძლებელი.

ინდექსის მეთოდოლოგიის არასრულყოფილების და მუდმივი ცვლილებების გამო, შეზღუდული ინდიკატორების პირობებშიც რთულია ყოვლისმომცველი დასკვნების გაკეთება საქართველოს პროგრესის შესახებ ადამიანზე ორიენტირებულ განვითარებასთან მიმართებით. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ 1999 წლის ანგარიშიდან 2011 წლის ანგარიშამდე მონაცემები მუდმივად უმჯობესდებოდა, თუმცა 2010 წლის ანგარიშის თანახმად მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილება - საქართველოს კვალიფიცირება ადამიანის საშუალო განვითარების დონის ქვეყნიდან ადამიანის მაღალი განვითარების დონის მქონე ქვეყანად, უკავშირდება ინდექსის სკალირების მეთოდოლოგიის ცვლილებას და არა ინდექსის აბსოლუტური მონაცემების რადიკალურ გაუმჯობესებას.

ინდექსის იმ მონაცემების მიხედვით, რომელთა შედარებაც შესაძლებელია წლების მიხედვით - 2000-2006 წლები და 2005-2011 წლებისთვის, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დროის ორივე მონაკვეთში ინდექსი დაახლოებით თანაბრად მცირედ უმჯობესდებოდა, თუმცა 2000-2006 წლებში გაუმჯობესება მოხდა შემოსავლის (ღირსეული ცხოვრების საშუალების) კომპონენტის ხარჯზე, მაშინ, როცა 2000-2006 წლებში სამივე მაჩვენებელი თანაბრად უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა. შემოსავლის კომპონენტის ზრდა ჩამორჩებოდა იმავე მაჩვენებლის პროგრესს 2000-2006 წლებისთვის. დროის ორივე მონაკვეთში შემოსავლის მაჩვენებელი ჩამორჩება დანარჩენ ორ კომპონენტს და ამცირებს ინდექსის ქულას, თუმცა ეს ფაქტი არ ნიშნავს, რომ ადამიანის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი საქართველოში მხოლოდ დაბალი შემოსავალია - განათლების შემთხვევაში ინდექსი ზომავს მხოლოდ ხელმისაწვდომობას და არა ხარისხს, ხოლო ჯანმრთელობის შემთხვევაში, ხელმისაწვდომობაც და ხარისხიც შეფასების მიღმა რჩება. ადამიანზე ორიენტირებული განვითარების შესაფასებლად სწორედ აღნიშნული საკითხების კვლევაა საჭირო.

## ავტორის შესახებ

ნანი ბენდელიანი სოციალურ მეცნიერებათა ცენტრთან თანამშრომლობს 2007 წლიდან. ის არის სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ ადმინისტრირებული სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებული - 2005 წელს დაასრულა სამაგისტრო კურსი საერთაშორისო ურთიერთობებში. 2011 წელს მიიღო ერასმუსის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტის მაგისტრის ხარისხი განვითარების კვლევებში, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის სპეციალობით.

## ბიბლიოგრაფია

Grimm, et al (2006). A Human Development Index by Income Groups. Ibero-American Institute for Economic Research Discussion Paper No. 155, Ibero-American Institute for Economic Research, University of Goettingen

United Nations Development Programme (1995). Human Development Report 1995. Oxford University Press,  
<http://hdr.undp.org/en/reports/global/hdr1995/chapters/> (წაწახი 28.02.12/12:00)

United Nations Development Programme (1996). Human Development Report 1996. Oxford University Press  
<http://hdr.undp.org/en/reports/global/hdr1996/chapters/> (წაწახი 28.02.12/12:00)

United Nations Development Programme (1997). Human Development Report 1997. Oxford University Press  
<http://hdr.undp.org/en/reports/global/hdr1997/chapters/> (წაწახი 28.02.12/12:00)

United Nations Development Programme (1998). Human Development Report 1998. Oxford University Press  
<http://hdr.undp.org/en/reports/global/hdr1998/chapters/> (წაწახი 28.02.12/12:00)

United Nations Development Programme (1999). Human Development Report 1999. Oxford University Press  
[http://hdr.undp.org/en/media/HDR\\_1999\\_EN.pdf](http://hdr.undp.org/en/media/HDR_1999_EN.pdf) (წაწახი 28.02.12/12:00)

United Nations Development Programme (2000). Human Development Report 2000. Oxford University Press  
[http://hdr.undp.org/en/media/HDR\\_2000\\_EN.pdf](http://hdr.undp.org/en/media/HDR_2000_EN.pdf) (წაწახი 28.02.12/12:00)

United Nations Development Programme (2001). Human Development Report 2001. Oxford University Press  
<http://hdr.undp.org/en/media/completenew1.pdf> (წაწახი 28.02.12/12:00)

United Nations Development Programme (2002). Human Development Report 2002. Oxford University Press  
[http://hdr.undp.org/en/media/HDR\\_2002\\_EN\\_Complete.pdf](http://hdr.undp.org/en/media/HDR_2002_EN_Complete.pdf) (წაწახი 28.02.12/12:00)

United Nations Development Programme (2003). Human Development Report 2003. Oxford University Press

[http://hdr.undp.org/en/media/hdr03\\_complete.pdf](http://hdr.undp.org/en/media/hdr03_complete.pdf) (ბანბნობა 28.02.12/12:00)

United Nations Development Programme (2004). Human Development Report 2004. Hoechstetter Printing Co

[http://hdr.undp.org/en/media/hdr04\\_complete.pdf](http://hdr.undp.org/en/media/hdr04_complete.pdf) (ბანბნობა 28.02.12/12:00)

United Nations Development Programme (2005). Human Development Report 2005. Hoechstetter Printing Co

[http://hdr.undp.org/en/media/HDR05\\_complete.pdf](http://hdr.undp.org/en/media/HDR05_complete.pdf) (ბანბნობა 28.02.12/12:00)

United Nations Development Programme (2006). Human Development Report 2006. Palgrave Macmillan

<http://hdr.undp.org/en/media/HDR06-complete.pdf> (ბანბნობა 28.02.12/12:00)

United Nations Development Programme (2007). Human Development Report 2007/2008. Palgrave Macmillan

[http://hdr.undp.org/en/media/HDR\\_20072008\\_EN\\_Complete.pdf](http://hdr.undp.org/en/media/HDR_20072008_EN_Complete.pdf) (ბანბნობა 28.02.12/12:00)

United Nations Development Programme (2008). Human Development Report 2009. Palgrave Macmillan

[http://hdr.undp.org/en/media/HDR\\_2009\\_EN\\_Complete.pdf](http://hdr.undp.org/en/media/HDR_2009_EN_Complete.pdf) (ბანბნობა 28.02.12/12:00)

United Nations Development Programme (2009). Human Development Report 2010. Palgrave Macmillan

<http://hdr.undp.org/en/reports/global/hdr2010/chapters/> (ბანბნობა 28.02.12/12:00)

United Nations Development Programme (2010). Human Development Report 2011. Palgrave Macmillan, 2011

<http://hdr.undp.org/en/reports/global/hdr2011/download/> (ბანბნობა 28.02.12/12:00)

Welton, *et al* (2008). Georgia Human Development Report 2008. UNDP

<http://planipolis.iiep.unesco.org/upload/Georgia/Georgia-NHDR-2008.pdf> (ბანბნობა April 2, 2012. 17:00)

World Bank. World Development Indicators Data Base

<http://data.worldbank.org/data-catalog/world-development-indicators> (Accessed April 2, 2012. 17:30)

Human Development Reports, Official Website

<http://hdr.undp.org/en/> (ნანახია 07.03.12; 15:00)

გაეროს ადამიანის განვითარების ინდექსის ვებგვერდის საქართველოს გვერდი

<http://hdrstats.undp.org/en/countries/profiles/GEO.html> (ნანახია 07.03.12; 14:15)